

მოსამართლეობის კანდიდატების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები

№	გვარი, სახელი	ბიოგრაფია
1.	ბოკერია ლიკა	<p>დაიბადა 1991 წლის 8 ივნისს ქ. თბილისში.</p> <p>2012 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2018 წელს დაამთავრა კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის სამართლის სკოლა, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2012-2018 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში წამყვანი სპეციალისტის, კონსულტანტისა და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე.</p> <p>2018 - 2020 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე.</p> <p>2020-2021 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p>
2.	გიორგაშვილი სანდრო	<p>დაიბადა 1962 წლის 19 დეკემბერს ქ. ყვარელში.</p> <p>1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1990-1993 წლებში იყო სოფელ გავაზის საკრებულოს თავმჯდომარე.</p> <p>1993-1999 წლებში იყო ყვარლის რაიონის სასამართლოს ადმინისტრაციული და სააღსრულებო წარმოების მოსამართლე.</p> <p>1999-2004 წლებში იყო გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.</p> <p>2005-2007 წლებში მუშაობდა გურჯაანის რაიონულ პროკურატურაში პროკურორის თანამდებობაზე.</p> <p>2011-2012 წლებში იყო შპს „სოკარ-ჯორჯია გაზი კახეთი“-ს იურისტი.</p> <p>2012-2021 წლებში იყო გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორი.</p> <p>2021 წლის მარტიდან დღემდე მუშაობს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის, სამოქალაქო და სამხედრო პირთა სამსახურებრივი შემოწმებისა და ინსპექტირების სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.</p>
3.	დუგლაძე ქეთევან	<p>დაიბადა 1962 წლის 15 იანვარს ქ. ზესტაფონში.</p> <p>1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1992-1999 წლებში მუშაობდა დუშეთის №1 საშუალო სკოლაში საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებლად.</p> <p>1999-2019 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.</p>
4.	ზვიადაძე გიორგი	<p>დაიბადა 1977 წლის 29 აპრილს ქ. ქუთაისში.</p> <p>1999 წელს დაამთავრა ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის</p>

		<p>სპეციალობით, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2002-2005 წლებში იყო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე.</p> <p>2005-2007 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე.</p> <p>2007-2009 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p> <p>2009-2019 წლებში იყო ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p>
5.	კაჭაშვილი გულიკო	<p>დაიბადა 1989 წლის 17 იანვარს ქ. ხაშურში.</p> <p>2010 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2012 წელს წარჩინებით დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურა, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2019 წელს მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2010-2012 წლებში მუშაობდა სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალურ ცენტრში სპეციალისტის და წამყვანის სპეციალისტის თანამდებობებზე.</p> <p>2011 წლიდან დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.</p> <p>2013-2014 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თავმჯდომარის თანაშემწის და თავმჯდომარის სამდივნოს უფროსის თანამდებობებზე.</p> <p>2015 წელს მუშაობდა ააიპ „აგროსერვის ცენტრში“ სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორის თანამდებობაზე.</p> <p>2015-2019 წლებში მუშაობდა შპს „გორგია“-ს მთავარი იურისტის თანამდებობაზე.</p> <p>2019 წლიდან დღემდე მუშაობს შპს „გორგია“-ს აჭარის იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.</p> <p>2020-2021 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p>
6.	კვარაცხელია დარეჯან	<p>დაიბადა 1960 წლის 17 თებერვალს ქ. ხონში.</p> <p>1987 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1987-1990 წლებში მუშაობდა იურისკონსულტად სხვადასხვა გაერთიანებებში.</p> <p>1990-2000 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას.</p> <p>2001-2012 წლებში იყო ხონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2012 წლიდან დღემდე არის სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრტი მოსამართლე მარტვილის მუნიციპალიტეტში.</p>
7.	მალრაძე ეკატერინე	<p>დაიბადა 1988 წლის 2 დეკემბერს ქ. ხარაგაულში.</p> <p>2010 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2012 წელს დაამთავრა საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მაგისტრატურა, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.</p>

		<p>2009-2019 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში კანცელარიის სპეციალისტის, სხდომის მდივნისა და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე.</p> <p>2019-2020 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე.</p> <p>2020-2021 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p>
8.	მთიულიშვილი გიორგი	<p>დაიბადა 1988 წლის 10 იანვარს, ახმეტაში.</p> <p>2010 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2012 წელს ამავე უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მიერ მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ამჟამად სწავლობს დოქტურანტურაში.</p> <p>2011-2015 წლებში მუშაობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში თავდაპირველად იურისტის, ხოლო შემდეგ იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.</p> <p>2015-2018 წლებში ეკავა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში მრჩეველისა და წამყვანი სპეციალისტის თანამდებობები.</p> <p>2018-2020 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატში უფროსი კონსულტანტის თანამდებობაზე.</p> <p>2012-2020 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, ხოლო 2020 წლის მარტიდან დღემდე არის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.</p> <p>2020-2021 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p>
9.	ოთარაშვილი ლია	<p>დაიბადა 1963 წლის 7 ივლისს ქ. გურჯაანში.</p> <p>1989 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1989-1999 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.</p> <p>1999-2005 წლებში მუშაობდა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში კანცელარიის მთავარ სპეციალისტად.</p> <p>2005-2009 წლებში იყო თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2009-2015 წლებში ირიცხებოდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში.</p> <p>2013-2016 წლებში იყო სალექციო კურსის ავტორი სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში.</p> <p>2017-2019 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო 2019 წლის დეკემბრიდან დღემდე არის ამავე სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.</p>

10.	სახელაშვილი ნინო	<p>დაიბადა 1989 წლის 9 აგვისტოს ქ. ქუთაისში.</p> <p>2010 წელს დაამთავრა საქ. ტექნიკური ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი და მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2012 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მაგისტრატურა და მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2012-2020 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში წამყვანი სპეციალისტის, სხდომის მდივნის და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე.</p> <p>2020 წელს მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე.</p> <p>2020-2021 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p>
11.	ცეცხლაძე ნარგიზ	<p>დაიბადა 1966 წლის 16 ოქტომბერს ხულოში.</p> <p>1991 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1991-1996 წლებში იყო ქ. ბათუმის მერიის მთავარი ეკონომიკური სამმართველოს იურისტი.</p> <p>1996-2004 წლებში მუშაობდა თავდაპირველად აჭარის ა/რ იუსტიციის სამინისტროში, ხოლო შემდეგ აჭარის იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე.</p> <p>2004-2005 წლებში იყო შპს „ბათუმის სამშობიარო სახლი“-ს იურისტი.</p> <p>2005-2007 წლებში იყო ჯავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და მივლინების საფუძველზე ახორციელებდა მოსამართლის უფლებამოსილებას ბათუმის საქალაქო სასამართლოში.</p> <p>2007-2014 წლებში ირიცხებოდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში.</p> <p>2014-2015 წლებში დაკისრებული ჰქონდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.</p> <p>2010 წლიდან დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.</p>
12.	ძნელაშვილი ზურაბი	<p>დაიბადა 1981 წლის 2 ივნისს თბილისში.</p> <p>2003 წელს დაამთავრა სპკ თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2007-2013 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე.</p> <p>2008-2009 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p> <p>2013-2015 წლებში იყო საგადასახადო ომბუდსმენის აპარატის ექსპერტი, ხოლო შემდეგ საგადასახადო ომბუდსმენის მოადგილე.</p> <p>2015-2019 წლებში ეკავა საქართველოს ბიზნესომბუდსმენის მოადგილის თანამდებობა.</p> <p>2019-2020 წლებში იყო სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე.</p> <p>2020-2021 წლებში ეკავა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა.</p>

		<p>2021 წლის აგვისტოდან დღემდე არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მრჩეველი.</p>
<p>13.</p>	<p>ჯოჯუა ნინო</p>	<p>დაიბადა 1988 წლის 19 სექტემბერს ქ. სოხუმში.  2008 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.  2010 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურა, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.  2012-2020 წლებში მუშობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლის რეფერენტის, მოსამართლის თანაშემწისა და მწერალ-თანაშემწის თანამდებობებზე.  2020-2021 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p>